

ლევან გვარამია

დაიბადა 1974 წლის 28 მარტს ქ. თბილისში.

1991 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის №1 ექსპერიმენტალური საშუალო სკოლა.

1991-1997 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე.

2003 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის (სამართლის დოქტორის) სამეცნიერო ხარისხი.

1992-1993 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის პროკურატურაში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

1995-1998 წლებში სწავლობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ბოხუმის რურის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

1998-1999 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

1998-1999 წლებში მუშაობდა შპს სადაზღვევო კომპანია "ნაბათში" იურისტის თანამდებობაზე.

1999-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადოების განყოფილებაში კონსულტანტად.

2001 წლის დეკემბრიდან მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურის სისტემაში.

2002-2004 წლებში ეკავა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომიებლის თანამდებობა.

2004-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2004-2005 წლებში მიწვეული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დოცენტის თანამდებობაზე.

2006-2007 წლებში თავდაპირველად მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საორგანიზაციო სამსახურის წამყვან სპეციალისტად, ხოლო შემდგომ სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის მრჩეველის თანამდებობაზე.

2006-2007 წლებში იყო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2011-2012 წლებში მიწვეული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულებით სპეციალისტად (პედაგოგი).

2013-2017 წლებში ეკავა აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა.

2017 წლიდან დღემდე არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მოწვეული სპეციალისტი.

2007-2009 წლებში იყო მარნეულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 4 აპრილის №1/62-2007 გადაწყვეტილებით მივლინებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

2009-2016 წლებში იყო გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინებულ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2016 წლის იანვრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.